საბა

საქართველოს კათოლიკეთა
ყოველთვიური მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N12 (336) | 2023

Advent

რედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

ადვენტი 7-8

ინტერვიუ..... 9-10

ჩანართი:.....I-IV

სოციალური გვერდი 11

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი..... 12-13

იუბილე 14-15

კონფერენცია..... 16-17

კათოლიკური კულინარია 18

ახალგაზდული გვერდი . 19

ინფორმაცია

კურიის თანხმობით დავნიშნე გენერალურ ვიკარად მამა ზურაბ კაკაჩიშვილი. ის ჩაანაცვლებს მამა ანჯეი გრაჩიკს, რომელსაც ვუძღვნი გულწრფელ მადლობას! შეგახსენებთ, რომ მას ექნება დავალება, დაეხმაროს ეპისკოპოსს მსახურებაში ეპარქიის სამსახურში და შეცვალოს იგი მისი არყოფნის შემთხვევაში. მისი კომპეტენციის ფარგლები, თავისი ბუნებით, ზოგადია, მოიცავს მთელი ეპარქიის მმართველობას.

† ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი

დეკემბერი

3 დეკემბერი - ადვენტის პირველი კვირადღე, ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

8 დეკემბერი - მარიამის უმანკო ჩასახვის დიდდღესასწაული, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

17 დეკემბერი - მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)

17 დეკემბერი - შობის ნოვენის დასაწყისი

20 დეკემბერი - მ. შალვა ვარდიძის გახსენება (+1958)

25 დეკემბერი - ქრისტეშობა

26 დეკემბერი - წმ. სტეფანეს დღესასწაული, ოზურგეთის საკრებულოს დღეობა

27 დეკემბერი - წმ. იოანე მოციქულისა და მახარებლის დღესასწაული

28 დეკემბერი - წმ. ბეთლემელ ჩვილთა დღესასწაული

31 დეკემბერი - ნაზარეთის წმიდა ოჯახის დღესასწაული, გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა



კვლავ ომი

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS

სტიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი ეკუმენიზმისა და კულტურის დარგში; ქუთაისის, ბათუმისა და ოზურგეთის საკრებულოთა წინამძღვარი

მერე და როგორი ომი! მტანჯველი ჭრილობა, აუტანელი ტკივილი. დიდი ხანია, რაც მსგავსი მასშტაბის ძალადობა არ გვინახავს და არ გვსმენია; რატომ? ეს საშინელი კითხვაა, რასაც კონფლიქტების, უთანხმოების, გაუგებრობების გამოწვევის გარეშე ძნელად თუ გაეცემა პასუხი... თუმცა აუცილებლად უნდა ვეცადოთ ვუპასუხოთ.

6 ნოემბერს, პალესტინის ისლამური მოძრაობის მიერ წარმოებული 7 ოქტომბრის სისხლიანი ხოცვა-ჟლეტიდან ერთი თვის შემდეგ, რომლის დროსაც ათას ოთხასი ებრაელი მოკლეს და დაახლოებით ორას ორმოცი მძევლად აიყვანეს, რომში მსოფლიოს 85 ქვეყნიდან ჩამოსული შვიდი ათას ხუთასი ბავშვი რომის პაპს შეხვდა. მათ წმიდა მამას ჰკითხეს: **„შეგიძლიათ აგვიხსნათ,** როგორ დავამყაროთ მშვიდობა?“. იერუსალიმში კი, მომდევნო დღეს, დილის 11:00 საათზე, წუთიერმა დუმილმა მოიცვა ქუჩები, მოედნები, ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭული, როგორც ყოველ *ჰაზიხარონის* (Yom HaZicharon) დროს - ტერორიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს, და თითოეული მსხვერპლის სახელზე აინთო 1400 სანთელი დასავლეთის კედლის წინ.

ვინ იცის, ღმერთმა ქნას და ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, შესაძლებელი იყოს ომის დამთავრება. იქნება კი ასე? ჯერჯერობით, რომის პაპის, იერუსალიმის ქრისტიანი პატრიარქების მიმართვებს და ჯო ბაიდენის საჯარო გაფრთხილებას შედეგი არ მოჰყოლია: „ნუ დაუშვებთ იმავე შეცდომებს, რაც ჩვენ დავუშვით 11 სექტემბერს განრისხებულებმა“, - არაერთხელ აფრთხილებდა გაეროს გენერალური მდივანი ან-

ტონიო გუტერეში, რომელმაც დაგმო ,,ჰამასის“ სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა და განაცხადა, რომ იგი ,,შეძრწუნებულია ღაზაში, ალ-შიფას საავადმყოფოსთან ახლოს, სასწრაფო დახმარების მანქანაზე თავდასხმის გამო“, რომ „ღაზა იქცა ბავშვების სასაფლაოდ...“.

ამასობაში მსოფლიოში თანდათან ვლინდება ანტისიონიზმის ფორმები, უკვე საუბრობენ იდეოლოგიებს შორის „ცივილიზაციათა შეჯახებაზე“, ასევე, საბედნიეროდ, გაეროს 1947 წლის 181 რეზოლუციისა და, უპირველეს ყოვლისა, ოსლოს შეთანხმების შესახებ (1993): „ორი სახელმწიფო ორი ერისთვის მშვიდობასა და უსაფრთხოებაში“. თუმცა ფორმულა დრომ გაცრიცა, ფერფლიდან აღმდგარი ფენიქსივით, მისი მხარდაჭერა, თუნდაც ფორმალურად, არაფერი დაუჯდება: არც პუტინს ან ქსი ძინპინგს, არც ერდოღანს ან ევროკავშირს და არც სპარსეთის ყურის ნავთობმაგნატებს! წლების განმავლობაში ისრაელი - და მასთან ერთად თითქმის ყველა არაბული ქვეყანა, დაწყებული იმით, ვინც ,,ჰამასს“ აფინანსებს - გვერდს უვლიდა პალესტინის საკითხს, აკმაყოფილებდა გამეფებული შედარებითი სიმშვიდე, დასავლეთ სანაპიროზე არსებული ნეიტრალიტეტი და ის ,,გულგრილობის ფრონტი“, რაც საუდის არაბეთის ხელმძღვანელობისგან იგრძნობოდა. შეიძლება თუ არა დავიბრუნოთ ოსლოს შეთანხმების სულისკვეთება? შესაძლებელია თუ არა წარმოვიდგინოთ პალესტინის სახელმწიფოს შექმნა? პალესტინის საკითხზე პასუხისმგებლობა: ოთხი არაბეთ-ისრაელის ომი, ორი ლიბანის ომი, ორი ინტიფადა (არაბ. აჯანყება), ტერორისტული თავდასხმების მთელი რიგი - ეკისრება ყველას: ისრაელიდან არაბულ სამყარომდე, ორივეს მოკავშირეებამდე.

ღაზაში მომხდარი ტრაგედიის ჰუმანიტარული მასშტაბები, სიკვდილი და ნგრევა ორივე მხრიდან, ახლა მოითხოვს გეგმას, რომელიც კონფლიქტის მხარეებს შორის გამოძებნის შეხების წერტილს, პასუხს, რომელიც იქნება გონივრული და, ამავდროულად, მყისიერი, იმ იმედით, რომ მიუხედავად დიდი ტკივილისა, შევძლებთ სანდო და ქმედითი სამშვიდობო პროცესის წამოწყებას, რომელიც გონიერების ხმით გადაფარავს „ინტელექტუალური“ იარაღის უსაფუძვლო ხმაურს. ჩვენ უნდა გვეყოს გამბედაობა და მოვითხოვოთ სამართალი, ანუ კეთილდღეობა ყველასთვის, რათა შერიგება არ დარჩეს როგორც მირაჟი. „ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება სიტყვები, რომლებსაც ძალუძთ კედლების გადალახვა“, უყოყმანოდ.

სინოდის XVI ასამბლეის პირველი სესიის დასკვნითი დოკუმენტი

28 ოქტომბერს წმიდა საყდარმა სინოდის XVI გენერალური ასამბლეის პირველი სესიის დასკვნითი დოკუმენტი გამოაქვეყნა. დოკუმენტში ასახულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საეროთა როლი ეკლესიის ცხოვრებაში, სიღარიბე, მიგრაცია, ეკოლოგია, ეკუმენიზმი, ეკლესიის მისია ციფრულ სფეროში.

დოკუმენტი სამი ნაწილისგან შედგება: 1. სინოდური ეკლესიის სახე. 2. ყველა მოწაფეა, ყველა მისიონერია. 3. კავშირების დამყარება, სამრევლოების განვითარება. „ღატაკთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ძალადობისა და კლიმატის ცვლილების დამანგრეველი შედეგების მსხვერპლთა შესახებ მხოლოდ მასმედიის საშუალებებით როდი ვიგებთ. ჩვენ ამ ტრაგიკულ მოვლენებში ჩართული ადამიანების, ოჯახების ქვითინი გვესმის“, - აღნიშნულია შესავალში. დოკუმენტის პირველ ნაწილში ხაზგასმულია, რომ „ქრისტიანები ვალდებულები არიან წვლილი შეიტანონ საყოველთაო კეთილდღეობის მშენებლობისა და სიცოცხლის დაცვის საქმეში, ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პროფესიულ კავშირებთან, სახალხო მოძრაობებთან და ა.შ.“ (I, 4g). რაც შეეხება ქრისტიანულ ერთობას, „ჩვენი დროის სამოძღვრო პრობლემების გადაჭრისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანთა შორის თანამშრომლობას. სეკულარულ საზოგადოებებში სახარების ხმა ასე ძლიერდება. ქრისტიანთა ერთობა ის რესურსია, რომლითაც დაიძლევა სიძულვილის, შუღლის, ომის კულტურა, რომელიც ამტერებს ადამიანებს და ერებს აპირისპირებს“ (I, 7g).

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თავიანთ მსახურებაში ქრისტიანები თანასწორნი არიან: „ნათლობის საიდუმლო იესოს ყველა მოწაფეს აკისრებს პასუხისმგებლობას ეკლესიის მისიისთვის. საეროებს, - როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს, - და ხელდასხმულ მსახურებს ერთნაირი ღირსება აქვთ. მათ სხვადასხვა ნიჭები მიეცათ და განსხვავებულ საქმეებს ასრულებენ, თუმცა ყველანი მოწოდებულნი არიან და სულიწმიდით საზრდოობენ, რათა ქრისტეში ერთ სხეულად იქცნენ. ერთობლივი პასუხისმგებლობის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სინოდურობისთვის და აუცილებელია საეკლესიო იერარქიის ყველა საფეხურზე. ყოველი ქრისტიანი ამქვეყნად მსახურია“ (II, 8b).

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „ადამიანებს, რომლებიც თავს გარიყულებად გრძნობენ, ან განდევნილები არიან ეკლესიიდან ოჯახური მდგომარეობის ან იდენტობის გამო, მოსმენა სჭირდებათ. მოსმენა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ერთად ვეძიოთ ღვთის ნება. კრება კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ქრისტიანებს ყოველი ადამიანის ღირსების პატივისცემა მართებთ“ (III, 16h).

„ომი მარცხია“

ტელეარხ RAI-სთვის მიცემულ ინტერვიუში უწმიდესმა ფრანცისკემ აღნიშნა, რომ ომი - მუდამ მარცხია, ამიტომ ყველა კონფლიქტი დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს: „მსოფლიო გამუდმებული ომის მდგომარეობაშია. ამის მიზეზი იარაღის წარმოებაა, რომელსაც დღეს დიდი შემოსავალი მოაქვს. შავბნელი დროა. ამ ბნელ ჟამს კარგად უნდა დავფიქრდეთ, თორემ მორიგი მარცხი არ აგვცდება. ასე ხდება ბოლო მსოფლიო ომის დროიდან, 1945 წლიდან დღემდე მარცხს მარცხი მოსდევს, რადგან ომები არ წყდება“. პონტიფექსმა პალესტინის რადიკალურ დაჯგუფება „ჰამასს“ ისრაელელი მძევლების გათავისუფლებისკენ და ღაზას სექტორში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისთვის დერეფნის გახსნისკენ მოუწოდა.

რუსუდან ავალიშვილი

1-ელ ნოემბერს, ყველა წმიდანის დღეს, პაპმა ლოცვაზე შეკრებილებს მიმართა: „კვლავაც ვილოცოთ ერებისთვის, რომლებიც დღეს ომით იტანჯებიან. ვილოცოთ წამებული უკრაინისთვის, ნუ დავივიწყებთ ისრაელს, პალესტინას და მსოფლიოს სხვა ადგილებს, სადაც ახლა უმოწყალო ომია“.

ლოცვის ღამე იერუსალიმში

9 ნოემბრის საღამოს იერუსალიმის მორწმუნეები წმიდა მიწის კათოლიკური თემის საშუალო სკოლაში შეიკრიბნენ, რათა მშვიდობისთვის ელოცათ. შეხვედრა არაბი კათოლიკე სკაუტების ჯგუფის, საბილის ეკუმენური ცენტრის და წმიდა ვენსან დე პოლის საზოგადოების თაოსნობით მოეწყო. სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები სკოლის ეზოში შეიკრიბნენ, რათა, როგორც ერთ ოჯახს, ერთად ელოცათ სანთლების შუქზე. წმიდა მიწის კათოლიკე პატრიარქმა, კარდინალმა პიერბატისტა პიცაბალამ მლოცველთა საერთო წუხილი გაახმოვანა: „ყოველდღე მსხვერპლს ვითვლით და გული სულ უფრო მძიმდება. ამ ციფრების უკან ხომ ვიღაცის სახეა, რაღაც სახელია - ადამიანია. მოდით, ერთ თემად ვიცხოვროთ. არ გვინდა დავა-კამათი. ჩვენ ერთნი უნდა ვიყოთ ქრისტე იესოში. ნუ შევშინდებით. არჩევანი შიშმა არ უნდა გვიკარნახოს. ჰორიზონტი ჯერ კიდევ დაბინდულია და მშვიდობა თითქოს ძალზე შორსაა. მაგრამ ჩვენ ხომ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ჩვენი ტკივილი იესოს გავუზიაროთ და ნუგეში ვითხოვოთ“.

როცა ომი დაიწყო, ღაზას კათოლიკე სამრევლოს წინამძღვარი, მამა გაბრიელ რომანელი, იერუსალიმში იყო და ჯერჯერობით თავის სამწყსოსთან დაბრუნებას ვერ ახერხებს. „ორმოცი დღეა, მათ სიცოცხლეს დიდი საფრთხე ემუქრება. მე აქ ვარ, მათთან კი ტყვიები და ტყვიამფრქვევებია. ყველაფერი ზანზარებს. როგორც შემიძლია, აქედან ვეხმარები“, - აღნიშნა მამა გაბრიელ რომანელიმ „Catholic News Agency“-ს კორესპონდენტთან საუბრისას.

ჩინეთის ახალი „კანონი პატრიოტული აღზრდის შესახებ“ კიდევ უფრო მეტად შეზღუდავს რელიგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს

ახალი კანონი შესაძლებლობას აძლევს ჩინეთის განათლების კომიტეტს, ეკლესიებს და რელიგიურ ორგანიზაციებს საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტაცია და პარტიის ოფიციალურ იდეოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანა მოსთხოვოს. ახალი კანონის თანახმად, „სახელმწიფომ უნდა უხელმძღვანელოს და ხელი შეუწყოს რელიგიურ ჯგუფებს და რელიგიურ დაწესებულებებს პატრიოტული აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელებაში, რელიგიურ მოღვაწეთა და მორწმუნეთა ჩვენს დიად სამშობლოსთან, ჩინელ ხალხთან, ჩინურ კულტურასთან, ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან, ჩინურ სოციალიზმთან იდენტიფიკაციის განმტკიცებაში. ყველა ტიპის სკოლაში, სწავლების ყველა საფეხურზე, სასწავლო პროგრამა პატრიოტული აღზრდით უნდა იქნეს გამსჭვალული“.

adventi - Jami mo l odinisa

დადგა ჟამი ქრისტეს შობის მოლოდინისა. კათოლიკეებისა და ლუთერელებისთვის ეს არის ადვენტის ოთხი წმიდა კვირა, სავსე სიმშვიდითა და ფიქრით.

ისტორიული ექსკურსი

ადვენტი პირველად ნახსენებია IV-V საუკუნეებში, როდესაც ბევრი ღებულობდა ქრისტიანობას. უკვე შუა საუკუნეებში ხალხმა დაიწყო მზადება ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის. დღევანდელი დღისგან განსხვავებით, როდესაც ადვენტი იწყება ყველაზე ადრე, ნოემბრის ბოლო კვირას, იმ დროს (დაახლოებით VIII საუკუნეში) ის იწყებოდა 11 ნოემბერს, წმ. მარტინის მოხსენიების დღეს. 11 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე ქრისტიანები მარხულობდნენ და ლოცულობდნენ. მსგავს ტრადიციას მიჰყვებოდნენ მართლმადიდებლებიც, ისინი მარხვას 15 ნოემბერს იწყებდნენ. დღეს ადვენტი აღარ ასოცირდება მეორედ მოსვლასთან. ესაა დრო ქრისტეს შობის მოლოდინისა.

ყოველ კვირას აქვს თავისი თემა

დღემდე შემორჩა უძველესი ტრადიცია: ადვენტის ყოველ კვირადღეს გვირგვინში (მზადდება, ჩვეულებრივ, ნაძვის ან სხვა წიწვოვანი ხის ტოტებისაგან) მოთავსებული ოთხი სანთლიდან ერთს ანთებენ. თითოეულ სანთელს აქვს თავისი მნიშვნელობა, ისევე, როგორც ადვენტის ყოველ კვირას - თავისი ძირითადი თემა, რომელიც გვიმჟღავნებს შობის ღამის საიდუმლოს.

ადვენტის პირველი კვირა: „ხსნა ახლოვდება“.

,,იმ დღეებში და იმ ჟამს აღმოვუცენებ დავითს მართალ ყლორტს“ (იერ. 33, 15). ამქვეყნად, სადაც ადამიანთა გულები დანაღვლიანებულია თავშეუკავებლობის, სიმთვრალისა და სხვა მანკიერებათა გამო, საჭიროა სიფრთხილე, რომ ეს დღე მოულოდნელად არ დადგეს. ადვენტის პირველი სანთელი სიმბოლოა იმედისა და მომავლის რწმენისა.

ადვენტის მეორე კვირა: „განუმზადეთ გზა უფალს!“

იოანე ნათლისმცემელი, ძველი და ახალი აღთქმის წინასწარმეტყველი, მოგვიწოდებს, მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები. ის გვიჩვენებს ხსნის გზას. იოანე ნათლისმცემელი არის იესოს წინამორბედი, რომელმაც აუწყა ახალი მისიონერული ეპოქა - დრო, როდესაც დედამიწაზე აღარ იქნება ბოროტება და ყოველი აღივსება უფლის ცოდნით.

ადვენტის მესამე კვირა: „Gaudete (გიხაროდეთ)!“

ამისკენ მოგვიწოდებს პავლე მოციქული. იგი, ისევე როგორც მთელი ეკლესია, მოგვიხმობს მორჩილების, მადლიერებისა და სიმშვიდისაკენ. სიხარული არის ნიშანი ღვთისადმი ჩვენი კუთვნილების გაცნობიერებისა. საზრუნავი და შიში, თითქოს შხამიანი ნისლი, მალავს ჩვენგან უზენაესს და აიძულებს ადამიანს, იცხოვროს მხოლოდ საკუთარი თავის იმედად. თუმცა, გაცნობიერება იმისა, რომ უფალი ახლოს არის, იმედი მისი მალე მოსვლისა აძლიერებს ჩვენს გულებს.

ადვენტის მეოთხე კვირა: „მაცხოვარო, გაგვიხსენ ცანი!“

ადვენტი და შობა გვიბიძგებენ მორჩილი თაყვანისცემისაკენ ქალწული მარიამისადმი. იგი ღვთის წინასწარმეტყველური ნიშანია, რომელსაც ღირსეული ადგილი უკავია სახარებაში - მარიამი ხდება კარიბჭე, რომლის მეშვეობითაც უფალს სურს სამყაროში შესვლა: *„კურთხეული ხარ დედათა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!“* (ლუკ. 1, 42). მარიამი მიენდო ღვთის ჩანაფიქრს და მისი ცხოვრება სავსებით შეიცვალა. ახლა მას შეუძლია შეგვეწიოს და ყოველი ჩვენგანი ქრისტესთან მიიყვანოს.

ადვენტის სანთლები სხვადასხვა ფერისაა, მაგრამ ზოგჯერ ეს ნიშანიც სიმბოლურია. როგორც კათოლიკეები, ასევე პროტესტანტები ყველაზე ხშირად ადვენტის გვირგვინს იისფერი (ლურჯი) სანთლებით ამშვენებენ, ოთხი სანთლიდან მესამე, ჩვეულებრივ, ალისფერია, რომელიც გვაუწყებს, რომ ქრისტეს შობა უკვე მოახლოვებულია. ზოგიერთი ქრისტიანი დგამს ოთხ წითელ სანთელს, ხოლო მეხუთეს, რომელიც ოქროსფერი ან თეთრია, გვირგვინის შუაგულში ათავსებს და ანთებს შობის ღამეს.

წინასაშობაო რიტუალები

ადვენტის დროს სხვადასხვა ქვეყანაში იცავდნენ სხვადასხვაგვარ რიტუალს, რომელთაგან ბევრი დღემდეა შემორჩენილი. თუმცა უმეტესობა მაინც დავიწყებულია. მაგალითად, ინგლისში, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთით, ღარიბი ქალები ატარებდნენ საგანგებო სამოსს (რაც დღემდე არ შემორჩენილა) და ადვენტის სიმბოლოს: ორ თოჯინას, შემოსილს ქრისტესა და ღვთისმშობლის მსგავსად. ყველა, ვინც კი ხედავდა ქუჩებში თოჯინებით ხელში მოსიარულე ამ ქალებს, შობამდე ყოველგვარი უბედურებისაგან თავისუფლდებოდა. იტალიის რეგიონ კალაბრიაში ქალწულ მარიამისადმი მიძღვნილ ტაძრებთან იკრიბებოდნენ მებუკეები. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ბუკი იყო სწორედ ის ინსტრუმენტი, რომელზედაც უკრავდა სამი მწყემსი ქრისტეს შობისას.

კურთხევა

საკრამენტალიებს (წმიდა ნიშნები) შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კურთხევას. „ყოველი კურთხევა ღვთის სადიდებელია და ლოცვაა მის ძღვენთა მისაღებად“ (კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო, 1671).

ჩვენს ტაძრებსა და ქრისტიანულ ოჯახებში არსებობს შესანიშნავი ტრადიცია - საადვენტო გვირგვინის, საშობაო ბაგის - პრეზეპეს მომზადება, ნაძვის ხის (სიცოცხლის სიმბოლო) მორთვა. იმისთვის, რომ ამ სიმბოლოებს მეტი რელიგიური მნიშვნელობა მიეცეს, მათ აკურთხებენ, რაც აღნიშნავს ადვენტის ან საშობაო დროის დასაწყისს. ამის გაკეთება შეუძლიათ როგორც სასულიერო პირებს, ისე მორწმუნეებს, რომლებიც შემწეობას სთხოვენ ქრისტეს და საგნებზე ჯვარს გამოსახავენ. სახლში კურთხევა მამის ან დედის მოვალეობაა, რომლებიც ამას აღასრულებენ ოჯახის დანარჩენ წევრთა თანდასწრებით.

,,მეგობრობა გრძელდება...“

ინტერვიუ ჟოზე აველინო ბეტენკურთან, წმიდა საყდრის სამოციქულო ნუნციუსთან საქართველოსა და სომხეთში.

საქართველოში თქვენი მოღვაწეობის პერიოდში მნიშვნელოვანი მომენტი იყო სახელმწიფო მდივნის, კარდინალ პაროლინის ვიზიტი 2019 წელს და მისი ბოლოდროინდელი სტუმრობა აზერბაიჯანსა და სომხეთში. როგორ ჩაიარა ამ ვიზიტებმა, განსაკუთრებით საქართველოში, და რა პერსპექტივები წარმოაჩინა?

ამ ხუთნახევარი წლის მანძილზე დიდი დიპლომატიური სამუშაო ჩატარდა: სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მდივნის, მისი აღმატებულება მონს. რიჩარდ გალაჰერის ვიზიტები საქართველოსა (2018 წ.) და სომხეთში (2019 წ.); სახელმწიფო მდივნის მოადგილის, მისი აღმატებულება მონს. ედგარ პენია პარას სტუმრობა სომხეთში (2021 წ.), ახალი სადესპანოს გახსნის მიზნით ერევანში; სახელმწიფო მდივნის, მისი მაღალი ყოვლადუსამღვდელოესობის, კარდინალ პიეტრო პაროლინის ჩამობრძანება საქართველოში 2019 წელს და სომხეთში 2023 წლის ივლისში. აღნიშნული ვიზიტები უკავშირდებოდა კონკრეტულ მიზნებს - ჰუმანიტარულ, დიპლომატიურ და ძირითად რელიგიურ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. კარდინალ პაროლინის ვიზიტი აზერბაიჯანსა და სომხეთში ა. წ. ივლისის თვეში ჰუმანიტარულ საკითხებს მიეძღვნა. პაპმა არაერთხელ მოუწოდა რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად. წმიდა საყდრის მთელი ეს ძალისხმევა მიმართული იყო იმისკენ, რომ გაჟღერებულიყო მათი ხმა, ვისაც

არავინ უსმენს და გაემხნევებინა შერიგებისა და თანხმობის მაძიებელნი.

ა. წ. 27 იანვარს კარდინალმა პაროლინმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს პრემიერმინისტრს იმ ეკლესიების დაბრუნების შესახებ, რომლებიც კომუნისტური ეპოქის დადგომამდე კათოლიკური იყო. რამდენადაც ცნობილია, პასუხი ჯერ არ ჩანს. რას ფიქრობთ ამ საკითხზე და პასუხის არქონაზე?

ქართველი კათოლიკეები საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და უნდა მოითხოვონ კიდეც თავიანთი უფლებები ამ სამართლებრივ სახელმწიფოში, რათა მიიღონ სასურველი პასუხი. კათოლიკე ეკლესია თავისი მრევლის გვერდით დგას და იმედის თვალით გაჰყურებს ჰორიზონტს.

თქვენ იზეიმეთ წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავი; ასევე აღინიშნა სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნის 30 წლისთავი. რას ნიშნავს ეს თარიღები ამ ქვეყნის ისტორიაში?

წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავისა და კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის ასევე 30 წლისთავის აღნიშვნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო როგორც ad intra, ad extra (როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით). დავინახეთ, თუ რა იყო და რა არის დღეს კათოლიკე ეკლესია საქართველოსთვის. ეს თარიღები განსაკუთრებულად აღინიშნა თბილისის წმ. სამების ტაძრის გუნდის კონცერტით ვატიკანის სიქსტეს კაპელაში. მედიასაშუალებები მთელი თვის მანძილზე, კვირაში რამდენჯერმე, აშუქებდნენ ამ კონცერტს. ყოველთვის ხაზს ვუსვამდით წმიდა საყდრის მუდმივ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ვცდილობდით, ეს ყოველივე ერთ დიდ - ქრისტიანობის ორიათასი წლისა და ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში მოგვექცია.

30 წლის წინ წმიდა საყდრის სადესპანო სამ ქვეყანას მოიცავდა: საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. ამ წლების მანძილზე ორი ახალი - სომხეთისა და აზერბაიჯანის სადესპანო შეიქმნა. თქვენი აზრით, ეს გადაწყვეტილება დადებითი იყო?

ერევანში წმიდა საყდრის სადესპანოს გახსნა (2021 წლის ოქტომბერი) გრძელი ისტორიისა და ერთი კერძო გარემოების გათვალისწინებით მოხდა. ჩემი ყველა წინამორბედი დესპანი საჭიროდ მიიჩნევდა სომხეთში სადესპანოს არსებობას, ისტორიული, საეკლესიო, ეკუმენური და დიპლომატიური მოსაზრებების გამო. მთიანი ყარაბაღის 2020 წლის ომმა აშკარა გახადა პაპის წარმომადგენლობის არსებობის აუცილებლობა ერევანში. ამიტომაც გადაწყვიტა პაპმა ფრანცისკემ იქ წარმომადგენლობის გახსნა. ვფიქრობ, რომ სადესპანოს არსებობა ერევანში მეტად მნიშვნელოვანია იქ არსებული ეკლესიის გასამხნევებლად, იმ საეკლესიო სტრუქტურების მხარდასაჭერად, რომლებიც სამრევლო საქმიანობას ეწევიან სხვადასხვა სფეროში. გარდა ამისა, საჭიროა დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა, რათა გაუმჯობესდეს ურთიერთობები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და შეიქმნას უკეთესი სამუშაო პირობები უკლებლივ მთელი მოსახლეობის სასიკეთოდ.

რას იტყვით იმ ქვეყანასა და ეკლესიაში არსებული ვითარების შესახებ, სადაც წმიდა მამამ ახლახან დესპანად დაგნიშნათ?

რა თქმა უნდა, ეს ახალი, აფრიკული მისია კამერუნსა და ეკვატორულ გვინეაში ახალი გამოწვევაა ჩემთვის, თუმცა მთლად უცხოც არაა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მღვდელი გახლდით, როცა დიპლომატის რანგში პირველად დავინიშნე კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1999-2002). შემდეგ მრავალი წელი გავატარე ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოში (2002-2018), სადაც სხვადასხვა აფრიკული ქვეყნების საეკლესიო და სოციალურ-პოლიტიკური საკითხები მებარა. მიმუშავია წმიდა საყდარსა და სხვადასხვა აფრიკულ ქვეყნებს შორის შეთანხმებების 14 პროექტზე. გახლდით აფრიკაში სხვადასხვა ოფიციალური დელეგაციის წევრი. რა თქმა უნდა, იქაური ვითარება ძლიერ განსხვავდება კავკასიურისაგან. კათოლიკურ ეკლესიას „საყოველთაობის“ ღრმა შეგრძნება აქვს და ხალხთა და კულტურათა ურთიერთგაცვლის გარემოში ცხოვრობს. წმიდა საყდრის დესპანთა მესამედი აფრიკის 54 ქვეყანაში მოღვაწეობს. კამერუნი დიდი ქვეყანაა, 32 მილიონიანი მოსახლეობით, რომლის კათოლიკური ნაწილიც 25 ეპარქიადაა დაყოფილი; ძალზე აქტიური ეკლესიაა. კამერუნში დესპანად დანიშვნისას გამაკვირვა იმ ყურადღებამ, რომელიც ადგილობრივმა მედიამ ამ ფაქტის მიმართ გამოიჩინა. მგონი, უკვე ყველაფერი იციან ახალი დესპანის შესახებ...

დიპლომატიურ ცხოვრებაში გიწევს ამა თუ იმ მისიის დასრულებასთან შეგუება. თუმცა, ეს მეგობრობის დასრულებას როდი ნიშნავს. მეგობრობა გრძელდება... საქართველოში პირველად დავინიშნე დესპანად. ზოგი ამას „პირველ სიყვარულს“ დაარქმევდა... მისიის დასასრულს, იმ სიკეთის შეგრძნება გრჩება, რომლის ქმნაც ერთად შევძელით. მთელი გულით გიხდით მადლობას.

ესაუბრა მამა გაბრიელე ბრაგანტინი
დასასრული, დასაწყისი ,,საბა“ #11 (335)

 ნუგზარ ბარდაველიძე

სატაძრო მშენებლობის აღორძინება

ოზურგეთის წმ. სტეფანე პირველმოწამის ტაძარი

ტაძარი მამა გაბრიელე ბრაგანტინისა და კათოლიკე მრევლის ძალისხმევით აიგო და წლებია გურიის კათოლიკეთა სულიერების ცენტრს წარმოადგენს. მის აგებამდე მშენებლობის ორგანიზატორთა წინაშე იდგა ამოცანა, რომ აქ მხოლოდ ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი სივრცე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მორწმუნეთათვის აუცილებელი სოციალური სივრცეც, სადაც მრევლის წევრები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ჩატარდებოდა კატეხიზაციები, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პასტორალურ საქმიანობაში, ასევე მოიწვევდნენ და უმასპინძლებდნენ სტუმრებს, ჩაატარებდნენ თემატურ შეხვედრებს, სადაც ბავშვებსა და მოზარდებს ექნებოდათ მათთვის განკუთვნილი სივრცე. ფართო პროფილის სოციალურ ფუნქციას კი სპეციფიკური არქიტექტურული გადაწყვეტა სჭირდება. ადგილობრივი საკულტო-არქიტექტურული პრაქტიკა არ ითვალისწინებდა მსგავსი მოცემულობების გადაწყვეტას, თუმცა სოციალური სივრცის არსებობის საჭიროება ყოველ სამრევლოში იჩენდა თავს და ამ პრობლემის მოგვარება აუცილებელი იყო. სწორედ თანამედროვე დასავლური არქიტექტურული პრაქტიკის გათვალისწინებით, სადაც სოციალური სივრცეების დაგეგმარება სავსებით აპრობირებულ თემას წარმოადგენს, შესაძლებელი გახდა ქართულ სინამდვილეშიც შექმნილიყო ისეთი სატაძრო კომპლექსები, რომლებიც მინიმალურ მასშტაბში მოაქცევდნენ ყველა ფუნქციურ მოცემულობას და ტაძარს, საკულტო დანიშნულებასთან ერთად, საგანმანათლებლო დატვირთვასაც მიანიჭებდნენ. მსგავსი ტენდენცია მთელ მსოფლიოში ბოლო საუკუნეებში სხვადასხვა კონფესიის მიერ აგებულ ახალ ტაძრებში ფართოდ გამოიყენება.

ოზურგეთის წმ. სტეფანეს ტაძარი მთლიანობაში, ერთი შეხედვით, ერთიანი არქიტექტურული ნაგებობაა, თუმცა მის საერთო გეგმაში ცალკეა გამოყოფილი საკმაოდ ვრცელი და ტევადი სატაძრო სივრცე, რომელიც თავისუფლად იტევს საზეიმო მსახურებების დროს შეკრებილ მრავალრიცხოვან მრევლს, სადღესასწაულო დღეებში მახლობელი სოფლებიდან ჩამოსულ მორწმუნე კათოლიკეებს. უშუალოდ ტაძრის ინტერიერის კედლის მიღმა კი საერთო არქიტექტურულ პროექტში დაგეგმარებულია ვრცელი, მრავალფუნქციური დარბაზები, რომლებიც ორ სართულს აერთიანებს და სხვადასხვა ტიპის შეხვედრების ორგანიზებისთვისაა განკუთვნილი. ტაძრის დასავლეთ ფასადს ამშვენებს კავკასიის კათოლიკური სატაძრო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმის მცირე სამრეკლოც, რომელიც შემდგომ სპეციალურად წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელზე ჩამოსხმული ზარითაც დამშვენდა.

კურთხევის დღიდან ოზურგეთის წმ. სტეფანე პირველმოწამის ტაძარში მუდმივად აღესრულება წმიდა მსახურება, რომელსაც უძღვება ტაძრის წინამძღვარი, მამა გაბრიელე, ხოლო მისი არყოფნის დროს - შემცვლელი მღვდელმსახურები. გარდა მსახურებისა, სოციალური და

საგანმანათლებლო მიზნით, აქტიურად გამოიყენება სატაძრო კომპლექსის მთლიანი სოციალური სივრცე. ასე რომ, სამხრეთ კავკასიაში წმიდა საყდრის ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის ძალისხმევით, ოზურგეთელ კათოლიკეთა სამრევლოს აქვს გამორჩეული სატაძრო ნაგებობა, რომელიც თავისი პოლიფუნქციურობის წყალობით იქცა მორწმუნეთა სულიერ-კულტურული თავშეყრის კერად, ადგილად, სადაც მიუხარია მრევლის ნებისმიერი ასაკის წევრს და სადაც სომეხი კათოლიკეებისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით მასპინძლობენ სტუმრებს, ატარებენ საზეიმო შეხვედრებს; რაც მთავარია, ტაძარი იქცა გურიის მრავალრიცხოვანი კათოლიკური თემის ერთიანობის, მისი ეკლესიურობის (კრებითობის) ცენტრად, ადგილად, რომელიც ერთ დიდ საკრებულოდ აერთიანებს ოზურგეთისა და მისი ახლომდებარე სოფლების მკვიდრ კათოლიკეებს და რაშიც წმ. სტეფანე პირველმოწამის ტაძრის თანამედროვე არქიტექტურას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი აკისრია.

ჭიათურის წმ. ღვთისმშობლის ხარების ტაძარი

ამ ათი წლის წინ საზეიმოდ ეკურთხა ჭიათურის ეს ტაძარი, რომლის არქიტექტურული იერსახის შექმნაზე დიდი წვლილი მიუძღვის მამა გაბრიელე ბრაგანტინის. ისტორიულად ქალაქ ჭიათურაში მოქმედი კათოლიკური სამრევლო არ არსებობდა, გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჯავახეთიდან სომეხ კათოლიკეთა რამდენიმე ოჯახი გადმოსახლდა. კათოლიკე მამების მიერ ჩამოყალიბებულმა და ოჯახში მტკიცედ დაცულმა საეკლესიო ტრადიციების ერთგულებამ განაპირობა ის, რომ ჭიათურელ კათოლიკეებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქალაქში არც მოქმედი სამრევლო არსებობდა და არათუ ტაძარი, არამედ სულ მცირე სამლოცველო სივრცეც არ გააჩნდათ, ჰქონდათ ღმერთისა და კათოლიკე ეკლესიის რწმენა და თავიანთი სამრევლოსა და ტაძრის შექმნის უსაზღვრო სურვილი. ქუთაისში წმ. სტიგმელთა მისიის დაფუძნებამ ჭიათურელი კათოლიკეების სურვილს რეალური სახე შესძინა. ახლად დაფუძნებული სამრევლოს წევრები საკვირაო მსახურებისთვის თავდაპირველად სხვადასხვა სივრცეებს იყენებდნენ, ზოგჯერ ქირაობდნენ, ხან ოჯახებში იკრიბებოდნენ. მამა გაბრიელე ბრაგანტინი, შემდგომ კი მამა კარლო დი სტეფანო (რომელიც წლების მანძილზე ჭიათურის სამრევლოს წინამძღვარი გახლდათ), ყოველ კვირა და უქმე დღეებში სისტემატურად სტუმრობდნენ ჭიათურას. წმ. სტიგმელი მღვდელმსახური მამებისა და წმ. იოსების მცირე ქალიშვილების სასულიერო კონგრეგაციის წარმომადგენელი დედების - ანა მარია კრიველარისა და ლორედანა მონეტის წყალობით ჭიათურის ადგილობრივი სამრევლო იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მსახურებასთან ერთად, სამრევლო საბჭოს წევრთა მხრიდან იყო ხანგრძლივი და საკმაოდ მძიმე ბიუროკრატიული პროცესი, რათა გამოენახათ და შემდგომ იურიდიულად დაეკანონებინათ საეკლესიო დანიშნულებისათვის საჭირო ნაგებობა. ჭიათურელი კათოლიკეები, თავიანთ წინამძღვართან შეთანხმებით, ყველა სავარაუდო შესაძლებლობას განიხილავდნენ, იყო მცდელობები, შეეძინათ უკვე არსებული ნაგებობა, რომლებიც ჭიათურაში მრავლად იყო და, 90-იანი წლების საერთო გაჭირვების ფონზე, არ ფუნქციონირებდა, ან ახალი ტაძრის ასაგებად ქალაქის ცენტრში შეესყიდათ მიწის ნაკვეთი. სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტურ მიზეზთა გამო, წლების მანძილზე ეს პრობლემა ვერ გვარდებოდა. საბოლოოდ მაინც გამოინახა ადგილი, სადაც შესაძლებელი გახდა ახალი ტაძრის აგება.

მიწის ნაკვეთი, რომელიც ჭიათურის კათოლიკური ტაძრის ასაგებად

იქნა შეძენილი, ერთი შეხედვით, ახალი მშენებლობის დასაწყებად სრულიად გამოუსადეგარი ჩანდა. სხვანაირად ალბათ ქალაქის მუნიციპალიტეტი არც დაუმტკიცებდა კათოლიკეებს ამ ადგილს. ტერიტორია თან ქალაქის ცენტრში იყო და თან მოფარებულ ადგილას, კლდის კალთაზე, იქვე კლდიდან გადმომდინარე მცირე ჩანჩქერის უშუალო სიახლოვეს, ფაქტობრივად, მიმდებარედ. სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა იფიქრეს, რომ კათოლიკეები ამ



საკმაოდ მცირე და კლდოვან ადგილზე ტაძარს მაინც ვერ ააგებენო და სამშენებლო პროექტიც დაუმტკიცეს. თუმცა მოხდა სასწაული და მამა გაბრიელეს ხელმძღვანელობით მომზადებული პროექტით აიგო ტაძარი, რომლის მსგავსიც საკმაოდ იშვიათია. იშვიათია იმიტომ, რომ თითქოს მცირე სივრცეში, კლდეზე, ჩანჩქერის გვერდით წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო საკმაოდ ტევადი ტაძრისა და მისი დამხმარე არქიტექტურული სივრცეების განთავსება, თან იმგვარად ოსტატურად და შემოქმედებითად, რომ, ფუნქციურობასთან ერთად, ახლად აგებულ ტაძარს თავისი არქიტექტურულ-ესთეტიკური ფორმები და ლანდშაფტთან ორგანული შერწყმა სრულყოფილად წარმოეჩინა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის წმ. ღვთისმშობლის ხარების ტაძარი არის უნიკალური შემთხვევა ხუროთმოძღვრულ სინამდვილეში, როდესაც რთულ ლანდშაფტურ გარემოში ტაძრის არქიტექტურა განუყოფელ ნაწილად ეწერება და თავისი პროპორციებითა და ფორმებით ლანდშაფტურ-არქიტექტურული სინთეზის ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ეს გარეგნულად მცირე ნაგებობა, რომელიც მართლაც ასეც აღიქმება ვიზუალურად, გარე მხრიდან საკმაოდ ვრცელ და პოლიფუნქციურ შიდა სივრცეს მოიცავს. ჭიათურის ტაძრის შიდა სივრცის დეკორაციული გადაწყვეტა ცალკე თემაა, ამ შემთხვევაშიც ტაძრის ინტერიერი ორგანულად არის მორგებული არსებულ ლანდშაფტურ ფორმებთან. სისადავით და, ამავე დროს, მაქსიმალურად ფუნქციურად და მხატვრულ-ესთეტიკური ფორმებით არის წარმოდგენილი ტაძრის მთელი ინტერიერის სივრცეები, რაც აოცებს მნახველს. გაოცება კი გამოწვეულია უმთავრესად სწორედ გარემოსთან არქიტექტურული ფორმების მაქსიმალური შერწყმით და ორგანული ერთიანობით, სისადავითა და მხატვრული ჩანაფიქრით.

ჭიათურის წმ. ღვთისმშობლის ხარების ტაძრის აგებით ადგილობრივმა კათოლიკეებმა შეიძინეს საკუთარი ტაძარი გამორჩეული ფორმებითა და პოლიფუნქციურობით, არა მხოლოდ სამლოცველო, არამედ სულიერების ნამდვილი კერა. ქალაქი კი გამდიდრდა ახალი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობით, უნიკალური ფორმების ძეგლით, რომელიც ჯერ არ არის იმდენად ცნობილი, მაგრამ სამომავლოდ ტურისტული მიმზიდველობის ფუნქციას ნამდვილად შეიძენს. ჭიათურის წმ. ღვთისმშობლის ხარების ტაძარი არის საუკეთესო არქიტექტურული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ლანდშაფტთან ორგანული შერწყმით, მისი ბუნებრივი სილამაზის გამოყენებით გამორჩეული არქიტექტურული ფორმის შექმნა.

რუსთავის ღვთაებრივი გულმოწყალების ტაძარი

რუსთავი საქართველოს ქალაქებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა, მას საფუძველი მეორე მსოფლიო ომის ეპოქაში ჩაეყარა. მისი მოსახლეობის პირველი თაობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა. მრავლად იყვნენ რუსთავის პირველ მოსახლეებში სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლებიც, ეთნიკურად ქართველები და სომხები, რომლებიც თავიანთი კათოლიკური ტრადიციების ერთგულებას არ ღალატობდნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსთაველ კათოლიკეებს მუდმივ მზრუნველობას არ აკლებდნენ კათოლიკე მამები, მათი დაუღალავი მსახურების წყალობით რუსთავში მუდმივმოქმედი სამრევლოც ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო, წლების მანძილზე რუსთავში ვერ ხერხდებოდა სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე ტაძრის აგება. მხოლოდ 2016 წელს, პაპ ფრანცისკეს ვიზიტის შემდგომ, შესაძლებელი გახდა ტაძრის აგებისათვის ნებართვის გაცემა და 2018 წლის 5 ოქტომბერს, ღვთაებრივი გულმოწყალების დღესასწაულზე რუსთავის ტაძარი საზეიმოდ იკურთხა.

რუსთავის ტაძარი, მართალია, ყველაზე ახალია სამხრეთ კავკასიაში აგებულ კათოლიკურ ტაძრებს შორის, მაგრამ მას იმდენი

სიწმინდე, სიმბოლური ნიშანი და ტრადიცია უკავშირდება, რომ თამამად შეიძლება ითქვას, ეს პატარა, კოხტა, მომხიბლავი არქიტექტურის მქონე ეკლესია აშკარად გამორჩეულია საქართველოსა და მთელი ჩვენი რეგიონის სხვა მრავალ კათოლიკურ საკულტო ნაგებობას შორის. რუსთავის ტაძრის ინტერიერის დათვალიერებისას პაპ ფრანცისკეს კურთხევა და სიმბოლური თანყოფნა თავს გვახსენებს ტაძრის საკურთხევლის, კარიბჭის, კათედრის, საწინამძღვრო ტახტის სახით. ასევე სიმბოლურია საკურთხევლის კედელი, სადაც მოზაიკურად არის გამოსახული საქართველოს ყველა კათოლიკური ტაძარი, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ერთიანობას უსვამს ხაზს. ქალაქ რუსთავის კათოლიკე მრევლის წევრები, რომელთა დიდი ნაწილი წარმოშობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არის, საკუთარი მშობლიური კუთხის სითბოს მუდმივად გრძნობენ ამ ახალ ტაძარშიც. სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსთავის ტაძრის პროექტის მომზადებას და თავადაც მონაწილეობას იღებდა მშენებლობასა და ინტერიერის მოზაიკების შექმნაში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ტაძარი იტალიური და ქართული მხატვრული ელემენტების საოცარი სინთეზით იპყრობს მნახველის ყურადღებას და არც არის გასაკვირი, რომ აგებისთანავე რუსთავის კათოლიკური ტაძარი ამ ქალაქის გამორჩეულ ღირსშესანიშნავ ძეგლად იქცა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავისი არსებობის სამი ათწლეულის მანძილზე სამხრეთ კავკასიაში წმიდა საყდრის ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ კათოლიკე მღვდელმსახურთა ძალისხმევით, არქიტექტორებისა და ინჟინრების უშუალო მონაწილეობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აიგო ან რესტავრაცია ჩაუტარდა მრავალ სატაძრო ნაგებობას. მაგრამ მთავარი ამ ფართომასშტაბიან აღმშენებლობაში ის სისტემური მიდგომაა, რასაც ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია იჩენს ახალ თუ ძველ არქიტექტურულ ძეგლებთან მიმართებაში. ეს გახლავთ, თანამედროვე მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით, საკულტო ნაგებობების მშენებლობისა და კულტურის ძეგლების რესტავრაციისადმი სრულიად ახალი მიდგომა, რაც მიიღწევა ეპოქის თანამედროვე ტენდენციების, მოთხოვნების, გემოვნებისა და საინჟინრო მიღწევების გამოყენებით, რომელიც კარგა ხანია აპრობირებულია დასავლურ სამყაროში. ამგვარი მიდგომის თვალსაჩინო შედეგი კი ის იქნება, რომ საუკუნეთა გასვლის შემდგომ მნახველი ადვილად გაარჩევს წინა ეპოქებისა და 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულების არქიტექტურულ-დიზაინერულ კონცეფციებს, გემოვნებასა და ხუროთმოძღვრულ ძეგლთან მიდგომის ტენდენციებს. გარდა ესთეტიკური მხარისა, თანამედროვე ლათინური წესის კათოლიკურ ტაძრებთან შექმნილი საზოგადოებრივი სივრცეები ფართო ფუნქციურ დატვირთვას იძენენ და ხელს უწყობენ სამრევლოს აქტიურ ჩართულობას არა მხოლოდ საკულტო, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, როგორიცაა, მაგალითად, საერთო საგანმანათლებლო, ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო სფეროები. ამგვარად, გასულ ათწლეულებში აგებულ კათოლიკურ სატაძრო კომპლექსებს, რელიგიურ-კონფესიურ დატვირთვასთან ერთად, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ფუნქცია და ეპოქის ვიზუალური სახით დაფიქსირების ისტორიული მისიაც დაეკისრათ. სწორედ ეს გახლავთ სამოციქულო ადმინისტრაციის ახალი ხედვა, საკულტო ნაგებობებისათვის პოლიფუნქციური და მულტიკულტურული დატვირთვის მინიჭება, ზოგად-კონფესიური გახსნილობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა.

დასასრული,
დასაწყისი ,,საბა“ # 7 (331)

პოლონური ოჯახების მე-6 საერთაშორისო კონგრესი

ა. წ. 15-17 სექტემბერს პოლონეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ გდანსკში ჩატარდა პოლონეთის საზღვრებსგარეთ მცხოვრები პოლონური ოჯახების მე-6 საერთაშორისო კონგრესი. მიუხედავად იმისა, რომ პოლონურ ოჯახებს არ მივეკუთვნებით, საქართველომ პირველად მიიღო ამ კონგრესში მონაწილეობა და ჩვენი ოჯახი, საკათედრო ტაძრის წინამძღვარ მამა ზურაბ კაკაჩიშვილთან ერთად, მიწვეული იყო სტუმრის რანგში. კონგრესის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული იყვნენ საერო და სასულიერო პირები, ეპისკოპოსები, მონაზვნები და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ასევე პროფესორები, ფსიქოლოგები და თეოლოგები. კონგრესის ძირითადი მიზანი იყო გაგვეგო და გაგვეაზრებინა რელიგიისა და ქრისტიანობის ძალა ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობაში. ასევე განხილული იყო ემიგრანტ პოლონელთა ოჯახების მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყანაში; მათ გაგვიზიარეს თავიანთი ოჯახური გამოცდილებები, ისაუბრეს კათოლიკე ეკლესიის მნიშვნელობაზე მათ ოჯახში, იმაზე თუ როგორ ახერხებენ ურთიერთობას ერთმანეთთან და რა როლს ასრულებს მათ ცხოვრებაში რწმენა.

კონგრესი მოიცავდა სამდღიან სესიებს. პირველი დღე დაიწყო წმიდა წირვით, რომელსაც უძღვებოდა პოლონეთის საეპისკოპოსო კონფერენციის თავმჯდომარე, არქიეპისკოპოსი სტანისლავ გონდეცკი. წირვის შემდეგ ოფიციალურად გაიხსნა კონგრესი, დამსწრეთა წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: პოლონეთის საეპისკოპოსო კონფერენციასთან არსებული საოჯახო საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი გრაჟინა კოშალკა, რომელიც, ორგანიზატორების სახელით, მიესალმა კონგრესის მონაწილეებს; გდანსკის მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსი ტადეუშ ვოიდა; პოლონეთის საეპისკოპოსო კონფერენციის დელეგატი, პოლონური ემიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი, ეპისკოპოსი პიოტრ ტუჟინსკი.

პირველ დღეს ისაუბრეს ქორწინებასა და ოჯახზე, ემიგრაციაში მყოფ პოლონელებზე, ბავშვებთან ურთიერთობაზე ოჯახში. შემდეგ დელეგატები, თემის მიხედვით (ემოციურობა ოჯახურ ურთიერთობებში, ბალანსი სამსახურსა და ოჯახში, ბავშვების დამოკიდებულება ვირტუალურ ქსელზე, ალკოჰოლიზმი, უშვილობა), სურვილისამებრ, გადავნაწილდით სხვადასხვა ქვეჯგუფში, სადაც საშუალება მოგვეცა, სპეციალისტებთან ერთად, დიალოგის რეჟიმში, გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის საკუთარი პრობლემები და ერთიანად მოგვეძებნა მათი გადაჭრის გზები. იმავე დღეს მოვისმინეთ რუანდაში, ქალაქ კიბეჰოში, სამი ადგილობრივი გოგონას წინაშე ღვთისმშობელ მარიამის გამოცხადების შესახებ. კიბეჰოს ღვთისმშობლის გზავნილის ფონზე, მოვისმინეთ საკითხები ოჯახში სულიერი ფორმირების, ოჯახების გადარჩენისა და მათთვის ახალი შანსის მიცემის, მადლისა და ლოცვის შესახებ წმიდა მარიამთან ერთად.

მეორე დღეს, წმიდა წირვის შემდგომ, საუბარი გვქონდა კრიზისში მყოფ ოჯახთა შესახებ, ასევე, თანამედროვე ოჯახში ცვლილების ძირითად ასპექტებზე. შემდეგ პოლონურმა ოჯახმა ბელგიიდან გაგვიზიარა თავისი გამოცდილება, თუ როგორ შეძლეს ღმერთისა და წმ. მარიამის დახმარებით, მიუხედავად მრავალი პრობლემისა,

ოჯახის შენარჩუნება. სესიების შემდეგ დელეგაცია მიიწვიეს ახალგაზრდა პოლონელთა ორკესტრის კონცერტზე.

კონგრესის ბოლო დღეს შედგა მომლოცველობა (გავიარეთ 7 კმ.) ორსული ღვთისმშობლის სანქტუარიუმში და დასრულდა წმიდა წირვით, რომელსაც უძღვებოდა გდანსკის არქიეპარქიის დამხმარე ეპისკოპოსი, მეუფე ვესლავ შლახეტა. შემდეგ კი მოვინახულეთ გდანსკის ოლივიას საკათედრო ტაძარი, წმ. მარიამის ბაზილიკა და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობები.

კონგრესის სამი დღე იყო საინტერესო, შემეცნებითი და სასიამოვნოდ დატვირთული. დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ეპისკოპოსს, რომელმაც საშუალება მოგვცა, მონაწილეობა მიგვეღო ამ კონგრესში, ასევე, პოლონეთის სხვადასხვა ორგანიზაციას დახმარებისთვის.

მამა ავგუსტინ ტოლტონი: პირველი ამერიკელი შავკანიანი მღვდელი

ავგუსტინ ტოლტონი დაიბადა 1854 წლის 1 აპრილს მისურში (შტატი აშშ-ში, მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის ცენტრალურ რეგიონში). იგი მონათლეს ამავე შტატში მდებარე წმიდა პეტრეს კათოლიკურ ტაძარში. მისი მშობლები, პიტერი და მარტა, მონები იყვნენ. ავგუსტინის დაბადებიდან შვიდი წლის შემდეგ ამერიკაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც აგრეთვე ცნობილია როგორც ომი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის - ომი ჩრდილოეთის ინდუსტრიულ შტატებსა და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს შორის. პიტერ ტოლტონი არმიას შეუერთდა, იგი იბრძოდა თავისუფლებისათვის და ბრძოლაში დაიღუპა.

მარტამ სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად გაქცევა მოახერხა. მან ღამით ნავით გადალახა მდინარე მისისიპი და ჩრდილოეთის შტატ ილინოისს მიაღწია. ტოლტონების ოჯახი ქალაქ კუინსის იზოლირებულ რაიონში დასახლდა. მარტამ მალევე მოახერხა სამუშაოს პოვნა. კვირაობით იგი შვილებთან ერთად ესწრებოდა წირვას ახლომდებარე წმიდა პეტრეს კათოლიკურ სამრევლოში. მაგრამ ოჯახი აქაც შეეჯახა რასობრივ დისკრიმინაციას. ტაძრის წინამძღვარი იყო ირლანდიელი ემიგრანტი მღვდელი ბრაიან მაკ გირი. მან ავგუსტინს წმიდა პეტრეს სამრევლო სკოლაში სწავლის საშუალება მისცა. მღვდლის გადაწყვეტილებამ მრევლში უკმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ აბოლიციონისტები (აბოლიციონიზმი - შავკანიანების მონობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა) აქტიურობდნენ ქალაქში, მაკ გირის მრევლის უმეტესობა წინააღმდეგი იყო, რომ შავკანიანი მოსწავლე ყოფილიყო მათი შვილების სკოლაში. მაგრამ მაკ გირმა უკან არ დაიხია და ტოლტონს იქ სწავლის უფლება მისცა. გონიერი, საზრიანი და კეთილი ავგუსტინი ადგილობრივ თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა, რათა ოჯახს დახმარებოდა. 1865 წელს სამოქალაქო ომი საბოლოოდ დასრულდა ჩრდილოეთის გამარჯვებით და ამერიკაში მონობას ბოლო მოეღო. ტოლტონების ოჯახმაც თავისუფლება მოიპოვა.

ავგუსტინი თავისი კათოლიკური რწმენის ერთგული იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამრევლო ცხოვრებაში, ემსახურებოდა წირვისას და ემზადებოდა, რომ კატექისტი გამხდარიყო. მამა მაკ გირს შეუმჩნეველი არ დარჩა ავგუსტინის გულმოდგინება, სათნოება და ღვთისმოსაობა, ბოლოს კი ყმაწვილმა მას გაუმხილა თავისი სურვილი გამხდარიყო ღვთისმსახური. მამა გირი სიხარულით შეპირდა, რომ დაეხმარებოდა და მუდამ გვერდით ედგებოდა. თუმცა ახალგაზრდისთვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოიპოვა თავისუფლება, რთული აღმოჩნდა, რომ ის ერთადერთი შავკანიანი სემინარიელი უნდა ყოფილიყო აშშ-ის სასულიერო

სასწავლებელში. მაკ გირის მხარდაჭერის მიუხედავად, ტოლტონს უარი უთხრა ყველა ამერიკულმა სემინარიამ, რომელსაც კი მან მიმართა. იყო მცდელობა, რომ იგი სამონასტრო ორდენში შეეყვანათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ავგუსტინის პიროვნული თვისებებით აღფრთოვანებული მაკ გირი ყოველ ღონეს ხმარობდა მის დასახმარებლად.

რამდენიმე წლის შემდეგ ავგუსტინ ტოლტონი მიიღეს პაპის უნივერსიტეტში, რომში. 1880 წლის თებერვალში ავგუსტინმა დატოვა ამერიკა და გაემგზავრა ევროპაში იმ განზრახვით, რომ გამხდარიყო მისიონერი აფრიკაში. იგი დიდად აფასებდა მარადიულ ქალაქში გატარებულ დროს. ავგუსტინი პირველად ცხოვრობდა რასობრივი დისკრიმინაციისაგან თავისუფალ გარემოში. ის იყო ნიჭიერი სტუდენტი და უნივერსიტეტში ყველას უყვარდა. მან კარგად შეისწავლა გერმანული, იტალიური და ლათინური ენები. 1886 წელს, 31 წლის ასაკში, ავგუსტინ ტოლტონი მღვდლად იქნა ხელდასხმული რომში. პირველი წირვა მან აღავლინა წმიდა პეტრეს ტაძარში აღდგომის კვირადღეს. ავგუსტინი ფიქრობდა, რომ აფრიკულ მისიაში გაამწესებდნენ და ამიტომ შეისწავლა იქაური კულტურა და ენები. მაგრამ, მისდა გასაკვირად, ის შეერთებულ შტატებში გაგზავნეს, რათა ემსახურა სამშობლოში.

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი ვერიკო ნოზაძე

1886 წლის ივლისში მამა ტოლტონის დაბრუნებას აღფრთოვანებით შეხვდნენ. კუინსის სადგურზე მის შესახვედრად მივიდნენ შავკანიანები და თეთრკანიანები, კათოლიკეები და სხვა რელიგიის წარმომადგენლები, რათა ენახათ ის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ერთ დროს მიატოვა მეგობრები და კოლეგები და ახლა დაბრუნდა შავი სუტანით შემოსილი. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ავგუსტინისთვის ეს დღე იერუსალიმში შესვლას ჰგავდა. თავისი პირველი წირვა მამა ტოლტონმა აღავლინა კუინსში, წმიდა ბონიფაციუსის ტაძარში. მიუხედავად მისი გახსნილობისა და დიდსულოვნებისა, განსწავლულობისა და ღვთისმოსაობისა, შრომისმოყვარეობის, თავდადების და ხალხის მსახურების სურვილისა, იგი არ მიიღეს, უარყვეს მღვდლებმაც. წლების განმავლობაში ავგუსტინი წინააღმდეგობას აწყდებოდა როგორც თეთრკანიანი კათოლიკეების (მათ შორის ბევრი გერმანელი იყო), ისე შავკანიანი პროტესტანტებისაგან, რომლებსაც არ სურდათ, რომ მას სხვა კონფესიის წარმომადგენელთა ყურადღება მიექცია.

ტრიუმფალური დაბრუნებიდან სამი წლის შემდეგ მამა ავგუსტინ ტოლტონი ჩიკაგოში გაგზავნეს, რათა ემსახურა ქალაქის სამხრეთით მდებარე ღარიბ მხარეში მცხოვრები შავკანიანი ხალხისთვის. მამა ავგუსტინი მიენდო ღვთაებრივ განზრახვას და ისეთივე მონდომებითა და გულმოდგინებით შეუდგა მსახურებას, როგორც კუინსში. ეპისკოპოსის ნებართვით, ახალგაზრდა მღვდელმა ეკლესიის მშენებლობისათვის საქველმოქმედო ფონდების შექმნა დაიწყო. როდესაც ფონდები დაარსდა, საფუძველი ჩაეყარა წმიდა მონიკას დიდებულ ეკლესიას, რომლის საქმიანობა მიზნად ისახავდა ქალაქის შავკანიანი მოსახლეობის მსახურებას. ამ სამრევლოში იყვნენ ღარიბი, გაუნათლებელი ყოფილი მონები, რომლებმაც დეპრესია და ძალადობა განიცადეს და მრავალი მიზეზის გამო ცხოვრებით დაიღალნენ. ახალგაზრდა მღვდელი დაუღალავად შრომობდა, რათა ემსახურა მათთვის და შეეხსენებინა, რომ მხოლოდ რწმენა იესო ქრისტესი იყო ის ერთადერთი, რასაც ადამიანური ძალაუფლება ვერ წაართმევდა და ვერ შეუბღალავდა მათ. ტოლტონის წარმატებამ შავკანიან კათოლიკეებთან მსახურებაში სწრაფად მიიპყრო მთელი კათოლიკური იერარქიის ყურადღება. „კეთილი მამა ავგუსტინი“ ცნობილი იყო თავისი მჭევრმეტყველი ქადაგებებით, მშვენიერი სასიმღერო ხმითა და აკორდეონზე დაკვრის ნიჭით.

მდიდარი ქალაქური სამრევლოებისაგან განსხვავებით, მამა ტოლტონი მოკრძალებულად ცხოვრობდა. დედა, რომელიც შვილს ჩიკაგოში გაჰყვა, მას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. ტოლტონს შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო მღვდლებისთვის განკუთვნილ სულიერ ვარჯიშებში. როცა იგი შინ ბრუნდებოდა, იმ დროს ჩიკაგოში აუტანელი სიცხის გამო, მოულოდნელად ცუდად გახდა და გონება დაკარგა. ავგუსტინი უახლოეს საავადმყოფოში მოათავსეს. ჰოსპიტალში მომსახურე მღვდელმა იგი უკანასკნელად აზიარა, მისთვის ლოცულობდნენ იქ მყოფი მონაზვნები და დედამისი მარტა. მამა ავგუსტინ ტოლტონი გარდაიცვალა 1897 წლის 9 ივლისს, 43 წლის ასაკში. სამგლოვიარო ცერემონიის შემდეგ, რომელსაც ასი მღვდელი ესწრებოდა, იგი, მისი სურვილისამებრ, დაკრძალეს წმიდა პეტრეს სასაფლაოზე კუინსში. ღვთის სამეუფოში, სადაც უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, მამა ავგუსტინ ტოლტონი, როგორც ღვთის შვილი, გახდა ნამდვილად თავისუფალი.

2011 წელს, ჩიკაგოს არქიეპარქიის გამოკვლევის შემდეგ, რომის კათოლიკე ეკლესიამ მამა ავგუსტინ ტოლტონს მიანიჭა ტიტული ,,მონა ღვთისა“. ,,ქვა“, რომელიც უარყვეს, გახდა „ქვაკუთხედი“, ის, რომელზედაც მომავალი თაობები დაფუძნდება.

შალვა ვარდიძე

სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ერთ-ერთი ღირსეული აღზრდილი არის მამა შალვა ვარდიძე (1883-1958 წწ.): კათოლიკე მღვდელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, მთარგმნელი, კორესპონდენტი, პოეტი და ა. შ. წარმოშობით მესხეთის ძირძველი სოფლიდან - არლიდან იყო. სამშობლოსათვის განწირული ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იღვწოდა უცხოეთის ცის ქვეშ და სამუდამო განსასვენებელიც უცხოეთში ჰპოვა. ქართველი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია შალვა ვარდიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. მიმდინარე წელი მისთვის საიუბილეო წელია. რამდენადაც დაბადებიდან 140 წელი გავიდა, 20 დეკემბერს კი გარდაცვალებიდან 65 წლისთავი შესრულდება.

შალვა ვარდიძე ექვსი ათეული წლის განმავლობაში უცხოეთში მოღვაწეობდა. ღვთისმსახურებასთან ერთად, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ყოველი ეროვნული საქმის წამომწყები და მონაწილე იყო. მისი ხელმძღვანელობით 1911 წელს სავანეში დაარსდა ქართული კლუბი, რომელიც აერთიანებდა თურქეთში მცხოვრებ ას ორმოცდაათ ქართველს. კლუბში შემუშავდა ოსმალეთის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა.

შალვა ვარდიძე კარგად განათლებული პიროვნება იყო. ფლობდა ცხრა ენას და ცხრავე ენაზე უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში მისი სტატიები სისტემატურად იბეჭდებოდა საქართველოს შესახებ, რითაც აცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას. უცხო ენათა საფუძვლიანად ცოდნამ განაპირობა ის, რომ მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მთარგმნელობითმა საქმიანობამ. მან ქართულად თარგმნა და სავანის სტამბაში დაბეჭდა უცხოელ ავტორთა მიერ საქართველოს ისტორიაზე შექმნილი ნაშრომები. კერძოდ, იტალიელი დიპლომატისა და მწერლის ევგენი დალეჯიო დალესიოს მიერ 1920 წელს ფრანგულად დაწერილი ნაშრომი - ,,ქართველები კონსტანტინეპოლში". ასევე ფრანგულიდან თარგმნა, საზღვარგარეთ არსებულ კიდევ ერთ ქართულ სავანეზე, უცხოელი ავტორის რენე ჟანენის წიგნი ,,ქართველები იერუსალიმში".

მამა შალვამ შექმნა და შთამომავლობას დაუტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს მისი პატრიოტული ხასიათის ლექსები: ,,ჩემი ლოცვა", ,,წმინდა ნინოს", ,,ქართველ ლტოლვილთა განცდილი", ,,სტუმრად ლიბანის კედლებთან და მათთან საუბარი", ,,შენ მოგმართავ ზენავ" და სხვა მრავალი. შალვა ვარდიძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი მეცნიერული მოღვაწეობა და ისტორიული ხასიათის სამეცნიერო შრომები. სიცოცხლის ბოლო წლებში, თურქეთიდან ბეირუთში გადასახლების შემდეგ, არაბულ ენაზე გამოაქვეყნა თავისი ორი ნაშრომი: ,,საქართველოს მოკლე ისტორია" და ,,დიდი საქართველოს პატრონი" - ეს იყო დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში 1918 წელს დაიბეჭდა სტამბოლის კონფერენციაზე წარსადგენი ცნობარი - ,,საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ". მის მომზადებაში, ცნობილ ისტორიკოსებთან: ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, პავლე ინგოროყვასთან და მიხაკო წერეთელთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა შალვა ვარდიძემაც. იგი თანამშრომლობდა თავისი დროის ქართველ მეცნიერებთან.

მიუხედავად იმისა, რომ შალვა ვარდიძე საქა-

რთველოში არ მოღვაწეობდა, მზრუნველობას არ აკლებდა სამშობლოში მყოფ თანამემამულეებს. განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. იგი თანამშრომლობდა და მხარში ედგა მშობლიურ კუთხეში მოღვაწე კათოლიკე მღვდლებს. გამორჩეული იყო მისი დამოკიდებულება ალიოზ ბათმანაშვილთან, შემდეგში სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ერთ-ერთ წინამძღვართან.

სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანე, თავისი არსებობის განმავლობაში, თავისი მისიითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით წარმოადგენდა ერთგვარ პროტესტს მეფის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. სავანე თვითონ იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი კერა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ,,დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ თურქეთში ქართული ლეგიონი დააარსა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისა და ქართული ლეგიონის წინაშე დამსახურებისათვის სტამბოლის ქართული სავანიდან წინამძღვარს, მამა პიო ბალიძესა და მონასტრის გამგეს, მამა შალვა ვარდიძეს გადაეცათ 1915 წელს ,,დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ დაწესებული თამარ მეფის ორდენი.

შალვა ვარდიძის, როგორც სტამბოლის ქართული სავანის მონასტრის გამგის, მოღვაწეობა, მხარში დგომა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისადმი და, საერთოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩართვა, მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვისაც და თურქეთის სახელმწიფოსთვისაც. ამიტომ, 1945 წელს, იგი სტამბოლში დააპატიმრეს, მიუსაჯეს პატიმრობა და ანკარის ციხეში რამდენიმე წლის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს ლიბანში - ბეირუთში. მას აეკრძალა თურქეთში დაბრუნება და ბოლომდე გადასახლებაში იმყოფებოდა. აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა სან-ჟოზეფის ფრანგულ უნივერსიტეტში, ლექციებს კითხულობდა, იყო უნივერსიტეტის პროფესორი. იქვე გარდაიცვალა 1958 წლის 20 დეკემბერს. დაკრძალეს ბეირუთის გარე უბანში ზეითუნის ლათინთა ეკლესიაში. ხოლო 1970-იანი წლების დასაწყისში, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, ზეითუნის ლათინთა სასაფლაოს ადგილზე გაყვანილ იქნა საავტომობილო გზა. სასაფლაოზე დაკრძალულთა ნაწილი, მათ შორის შალვა ვარდიძეც, გადასვენებული იქნა ქალაქ ბეირუთის სხვა სასაფლაოზე, საერთო საფლავში... შესაბამისად, ვერ აღსრულდა მამა შალვას ერთადერთი სურვილი - სამშობლოში ჰქონოდა სამუდამო განსასვენებელი...

საქართველოს და ქართველი ერის სიძლიერე ყოველთვის ასეთ ღირსეულ ადამიანთა მოღვაწეობას ეფუძნებოდა. არ შეიძლება მათი დავიწყება, არ შეიძლება პატივი არ მივაგოთ...

სამარადისოდ ყოფილიყოს ხსენება მისი. ამინ!

სოლა ფორუმი - 2023

წელს უკვე მეექვსედ ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო თეოლოგიური კონფერენცია ,,სოლა ფორუმი“.

„სოლა ფორუმი“ 2017 წელს დააფუძნეს პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლებმა და მისი მისია გახლდათ საქართველოში ქრისტიანული თეოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ხელშეწყობა. თავდაპირველად ,,სოლა ფორუმს“ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი მასპინძლობდა, მეორე წელია, რაც მის მასპინძლად საქართველოს უნივერსიტეტი გვევლინება. ყოველწლიურად, რელიგიის, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ-ახალი გამოწვევების საპასუხოდ და თემატიკის აქტუალობიდან გამომდინარე, კონფერენციის მუდმივმოქმედი საორგანიზაციო ჯგუფი არჩევს ახალ პრიორიტეტებს. წლევანდელი „სოლა ფორუმის“ თემა გახლდათ: რელიგია, ავტორიტეტი და ძალაუფლება. ფორუმში კათოლიკური ეკლესია და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, ტრადიციულად, საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული. ჩვენი წარმომადგენლები სამეცნიერო მოხსენებებითაც წარდგნენ და პანელურ დისკუსიებში იღებდნენ მონაწილეობას.

სოლა ფორუმი - 2023 ჰომილიით გახსნა ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა **მერაბ გაფრინდაშვილმა**. შემდგომ უკვე პირველი მოხსენება - ,,ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთობის კათოლიკური პერსპექტივა“ წაიკითხა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორმა **მამა აკაკი ჭელიძემ**. საბაუნის მოწვეული პროფესორის, **მამა ლევან მათეშვილის** მოხსენება საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში საეკლესიო და საერო ძალაუფლების მონოპოლიზებას შეეხებოდა. ვებსტერის უნივერსიტეტის პროფესორმა **ირაკლი ჯავახიშვილმა** თავის მოხსენებაში წმ. თომა აკვინელი კანონის უზენაესობის დამცველის ამპლუაში წარმოგვიდგინა. საბაუნის მოწვეული ლექტორის, **მამა გიორგი წეროძის** მოხსენება მართლმადიდებლურ ტრადიციაში რელიგიური ავტორიტეტის საკითხებს შეეხებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში კათოლიკური ეპარქიების დაარსებისა და მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საბაუნის პროფესორმა **ნუგზარ ბარდაველიძემ**.

კონფერენციის პირველი დღე დასრულდა პანელური დისკუსიით, რომლის თემაც გახლდათ ,,საქართველოში სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ძიება“, დისკუსიას უძღვებოდნენ დეკანოზი **ლევან მათეშვილი**, მამა **აკაკი ჭელიძე** და პასტორი **ზაალ ტყეშელაშვილი.**

მეორე დღეს კონფერენციაში ონლაინ ჩართვით მონაწილეობა მიიღო საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსმა, დოქტორმა **როლფ ბარისმა**, მისი მოხსენების სათაური გახლდათ: ,,Sola Scriptura“ - რელიგიური ავტორიტეტი პროტესტანტულ ტრადიციაში“. შემდგომ კი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა **მერაბ ღაღანიძემ** მოხსენება გააკეთა თემაზე: ,,ეკლესიის მეთაურისა და ეკლესიაში უზენაესობის გამო კათოლიკური თვალსაზიერიდან“.

მამა დარიუშ კომადოვსკიმ, რომელსაც სულ ახლახან მიენიჭა ვარშავაში თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი და დოქტორის რანგში ეს მისი პირველი სამეცნიერო კონფერენცია გახლდათ, წარმოადგინა მოხსენება: ,,უმაღლესი ავტორიტეტი კათოლიკურ ტრადიციაში“.

სამეცნიერო მოხსენებების გარდა, გაიმართა ორი მეტად საინტერესო პრეზენტაციაც. პირველი პრეზენტაცია თბილისში რამდენიმე წლის წინ დაფუძნებულ ნიგერიელთა პროტესტანტულ

ეკლესიას შეეხებოდა. მცირე წარდგენის შემდგომ ამ ეკლესიის გუნდის წევრებმა ინგლისურ და ქართული ენაზე შეასრულეს საგალობელი, რომელმაც თავისი აფრიკული რიტმების მეშვეობით ნამდვილად მოაჯადოვა კონფერენციის მონაწილენი. მეორე პრეზენტაცია კი ქრისტიანული არხის დამფუძნებლებმა წარმოადგინეს მულტიმედიური საშუალებებით. ქრისტიანული არხი საქართველოში ერთადერთი პროტესტანტული ტელემაუწყებლობაა, რომელიც წლებია, რაც ქრისტიანული ცხოვრებისა და თეოლოგიის საკითხებს აშუქებს. არხი კათოლიკე თეოლოგებსა და სასულიერო პირებსაც იწვევს და მულტიკონფესიური ხედვით გამოირჩევა.

კონფერენციის დასასრულს კი გაიმართა პანელური დისკუსია - ,,ქალი და ძალაუფლება ეკლესიაში", სადაც საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის პასტორი **ირინა სოლეი**, ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი **რუსუდან გოცირიძე** და ხსნის არმიის მაიორი **სოფო ბახტაძე** იყვნენ მოწვეულები. სამივე კონფესიის წარმომადგენელმა ქალმა სასულიერო პირებმა გულახდილად და საკმაოდ ემოციურად ისაუბრეს იმ თავისებურებებსა და პრობლემებზე, რაც ჩვენს ტრადიციულ ქვეყანაში თან ახლავს ქალთა მსახურებას. დისკუსიას უძღვებოდა ,,სოლა ფორუმის" ერთ-ერთი ორგანიზატორი, თეოლოგიის დოქტორი, ლუვენის (ბელგია) თეოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარი **ტატა კოპალეიშვილი**.

,,სოლა ფორუმმა" განვლილი ექვსი წლის განმავლობაში მყარად დაიმკვიდრა თეოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის სფეროში თავისი ადგილი, სამეცნიერო ფორუმი მულტიკონფესიურობით, მაღალი სამეცნიერო დონითა და სანიმუშო ორგანიზებით გამოირჩევა. მასში მონაწილეობა თეოლოგებისა და რელიგიათმცოდნეებისათვის იქცა საკმაოდ პრესტიჟულად. ვისაც სურს ,,სოლა ფორუმის" ექვსივე კონფერენციის შესახებ წარმოდგენილი მოხსენებების გაცნობა, ინტერნეტსივრცე ამის საშუალებას იძლევა. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როდესაც ,,სოლა ფორუმს" სიყვარულით მეექვსე სოლაც უწოდეს, დიდი საეკლესიო რეფორმატორის, დოქტორ მარტინ ლუთერის ,,ხუთი სოლას" ერთგვარ სიმბოლურ დანამატად.

საადვენტო რეცეპტები: დრეზდენული კექსი

ადვენტის პერიოდი დიდი ხნის განმავლობაში მკაცრი მარხვის დრო იყო. მიუხედავად ამისა, ამ წინასაშობაო პერიოდის მრავალი კულინარიული რეცეპტი უძველესი დროიდან არის შემონახული. პირველ რიგში, ეს არის ვაშლისა და თხილისაგან დამზადებული ღვეზელები და საკონდიტრო ნაწარმი. ყველა ევროპულ ქვეყანას თავისი განსაკუთრებული ტრადიციები აქვს. მაგალითად, გერმანიაში ამ პერიოდში ამზადებენ დრეზდენულ კექსს. მიიჩნევა, რომ მისი სამშობლო საქსონიაა. ქალაქ ნაუმბურგში (გერმ. Naumburg), მდინარე ზაალეს მახლობლად, მატიანეებში ეს ტკბილი ნამცხვარი ნახსენებია ჯერ კიდევ 1329 წელს.

ინგრედიენტები:
400 გრ. ქიშმიში
0,125 ლ. რომი
1 კგ. ფქვილი, 80 გრ. საფუარი
100 გრ. შაქარი, 0,125 - 0,250 ლ. რძე
375 გამომცხვარი რძე, მწიკვი მარილი
1 ცალი ლიმონის გახეხილი კანი
3 ცალი გახეხილი მწარე ნუში
150 გრ. გახეხილი ტკბილი ნუში
25 გრ. დაქუცმაცებული ფორთოხლის ცუკატი
125 გრ. დაქუცმაცებული ლიმონის ცუკატი
250 გრ. გამდნარი კარაქი
125 გრ. შაქარი
200 გრ. შაქრის მინანქარი

მომზადება:
ქიშმიშს დაასხით რომი და მთელი ღამით დატოვეთ თავდახურულ ჭურჭელში. ყველა სხვა კომპონენტი მოათავსეთ თბილ ადგილას. ჩაყარეთ ფქვილი თასში და გააკეთეთ ღრმული. დააქუცმაცეთ საფუარი, შეურიეთ მცირე რაოდენობით შაქარი და ჩაასხით ღრმულში. მოაყარეთ ფქვილი და დატოვეთ ოთახის ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ დარჩენილი შაქარი, რძე, გამდნარი კარაქი და ლიმონის კანი, მოზილეთ ცომი. ცომი უნდა გაფუვდეს ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ ქიშმიში, ნუში, ფორთოხლისა და ლიმონის ცუკატი. ცომი კიდევ ერთი საათით დატოვეთ ოთახის ტემპერატურაზე. ისევ მოზილეთ და მიეცით ოვალური ფორმა, გააჩერეთ 30 წუთი. ტაფას დააფარეთ ქაღალდი, მოათავსეთ მასზე ცომი და გამოაცხვეთ 70 წუთის განმავლობაში 180 გრადუსზე. კექსი ოდნავ გააგრილეთ და მოაყარეთ შაქრის მინანქარი.

კარგად დახურულ ყუთში კექსი შეიძლება შეინახოთ გაზაფხულამდე. ადრე საქსონიაში იყო ჩვეულება, დაეჭრათ ბოლო ნაჭერი აღდგომის დილით.

კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის აქტივობები

კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრი დიდი ხანია აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდების განვითარებაში, როგორც შემეცნებითად, ასევე რელიგიურად. ჩვენი მიზანია, საქართველოს ახალგაზრდებმა შეიცნონ ღმერთი და დაკავშირებული იყვნენ ეკლესიასთან და ერთმანეთთან. ამ უწყვეტი კავშირის ჩამოყალიბება, შემდგომში გამყარება და ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდა ხდება მრავალი შეხვედრით, დაგეგმილი აქტივობებითა და იმ თემებზე საუბრით, რომლებიც ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანია. ჩვენ ყოველთვის უზრუნველვყოფთ, რომ სანდო და კომპეტენტური ადამიანები ესაუბრონ ახალგზარდებს და განიხილონ კონკრეტული საკითხები.

ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით, აპრილის თვეში, წეროვანში ჩატარდა საერთო ახალგაზრდული შეხვედრა, სადაც ახალგაზრდებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი და ჩაერთვნენ მრავალ საინტერესო აქტივობაში. პარალელურად, დაიწყო ანიმატორების შეხვედრები, სადაც მოქმედმა ანიმატორებმა მრავალი უნარ-ჩვევა განივითარეს. ახალგაზრდებისთვის მოტივაციისა და სტიმულის მისაცემად ხორციელდებოდა სამრევლოებში ვიზიტები, ვიზიტორები ამავე სამრევლოს წარმომადგენლები იყვნენ. მათ ისაუბრეს თავიანთ ცხოვრებისეულ წარმატებებსა და პროფესიულ განვითარებაზე. ივლისიდან აგვისტომდე მიმდინარეობდა მსოფლიო ახალგაზრდულ დღეებზე ლისაბონში წამსვლელი ჯგუფის გადამზადებითი შეხვედრები. პორტუგალიაში ვიზიტი წარმატებით დასრულდა, რამაც ახალგაზრდების გულებში წარუშლელი შთაბეჭდილებები დატოვა. ამის პარალელურად, წეროვანში ჩატარდა შეხვედრა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც პორტუგალიაში წასვლა ვერ მოახერხეს, თუმცა სურდათ რომის პაპის სიტყვების მოსმენა და იმ ემოციების გაზიარება, რასაც მსოფლიო ახალგაზრდულ დღეებზე წასული ჯგუფი განიცდიდა. ეს იმ აქტივობების ჩამონათვალია, რომელიც სექტემბრამდე განხორციელდა და დარწმუნებულები ვართ, რომ გავლენა იქონია ახალგაზრდების სწორ განვითარებაზე. ამავე მიზნით ვაგრძელებთ მრავალი ახალი იდეისა და ისეთი ძველი, საინტერესო აქტივობების განხორციელებას, რომლებიც სექტემბრამდე ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდული ცენტრი მუდამ არის და იქნება საქართველოში მყოფი კათოლიკე ახალგაზრდების გვერდით. გარდა ჩვენი ინიციატივებისა, ველით თქვენს მრავალფეროვან იდეებს და აქტიურობას. ცენტრი მუშაობს ყოველ სამშაბათსა და ოთხშაბათს თბილისის საკათედრო ტაძარში. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოგვმართოთ, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ ყოველი ახალგაზრდის აზრს და მაქსიმალურად დაგიდგებით გვერდით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში.

კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრი

ყოველდღე გააკეთე კეთილი საქმე და
გააფერადე ვარსკვლავები ადვენტის პერიოდის განმავლობაში

საქართველოს კათოლიკეთა
ყოველთვიური ბიული

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

საბა

ISSN 2720-8001

მთავარი რედაქტორი: მ. კარიელე ბრიგანტინი CSS
სარედაქციო კოლეგია: ნელბარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ღალინიძე, ეკატონ ხითარიშვილი
მენეჯერი მხარდამჭერი: მღვდ. მიხეილ ხურშაკა, თამარ სტეფნაძე
მისამართი: ჟურნალ „საბის" რედაქცია, კიკა აბაშიძის ქ. №6ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.journal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსდა თანამი ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © საბა